თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 339

" 29 " 10 2014

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენის კონცეფციის კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

"სახელმწოფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებისა და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ე", „ლ", "პ" და „ფ" ქვეპუნქტების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენის კონცეფციის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენის კონცეფციის შესარჩევად დამტკიცდეს კონკურსის წესი და პირობები №1 დანართის შესაბამისად.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ღოღობერიძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ავთანდილ სუდაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი (კომისიის წევრი);

გ) დემურ კვირიკაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი (კომისიის წევრი).

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

დ) მაკა შავიშვილი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი (კომისიის წევრი);
ე) დემურ სვანიძე – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი (კომისიის წევრი);
4. საკონკურსო კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;
5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს კომისიის აპარატმა შემდეგი შემადგენლობით:
ა) არმაზ ხუციბერიძე – კომისიის მდივანი;
ბ) თამთა ლომიძე;
გ) ირმა ალიმბარაშვილი;
დ) გიორგი ქიტესაშვილი;
ე) ნატო საძაგლიშვილი.
6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**

დანართი #1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენის კონცეფციის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის წესი და პირობები

I. თავი
ზოგადი ნაწილი

1.1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზანია ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირიდან მტკვრის სანაპიროს მიმართულებით, ტრანსპორტის მოძრაობის სქემის მოწესრიგების საუკეთესო ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტილების გამოვლენა.

1.2. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ამოცანებია ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენა და საპროექტო ტერიტორიის დაცვა-განვითარებაზე ორიენტირებული არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი კონცეფციის შემუშავება, რაც შემდეგში საფუძვლად დაედება შესაბამისი მშენებლობის პროექტის დამუშავებას.

1.3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს, გარდა შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლების და წინამდებარე კონკურსის ორგანიზებაში ჩართული პირებისა. აღნიშნულ პირებს ეკრძალებათ კონკურსში მონაწილეობის მიღება, როგორც პირდაპირი ასევე ირიბი სახით.

1.4. ერთ კონკურსანტს შეუძლია წარადგინოს ერთი ან ერთზე მეტი საკონკურსო წინადადება. ერთი საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ერთი კონცეფცია.

1.5. საკონკურსო წინადადების წარსადგენად კონკურსში მონაწილე პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge.

1.6. გამარჯვებულებს ღია კონკურსის ფორმით გამოავლენს საკონკურსო კომისია.

1.7. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეარჩიოს 3 (სამი) საუკეთესო კონცეფცია და შესაბამისად მიანიჭოს მათ I, II და III ადგილები.

1.8. საკონკურსო მასალების წარდგენა და საკონკურსო საქმიანობის წარმართვა იწარმოებს ქართულად.

1.9. საკონკურსო განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განთავსება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდსა www.tas.ge და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ-გვერდზე www.archunion.ge.

205270053

II. თავი
საკონკურსო პირობები

2.1. **<u>საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს:</u>** ქ. თბილისის პუშკინის ქუჩა.

2.2. **<u>კონცეფციის მომზადებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:</u>**

- ქალქგეგმარებითი კონცეფცია გააზრებული უნდა იყოს ძველი თბილისის ისტორიული განაშენიანების კონტექსტში.
- გათვალისწინებული უნდა იქნას პუშკინის ქუჩის სავალი ნაწილის გაფართოება ტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობის აღდგენით, მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
- გათვალისწინებული უნდა იქნას პუშკინის ქუჩაზე ხელოვნების მუზეუმის გასწვრივ საფეხმავლო ტროტუარის მოწყობა, მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
- გათვალისწინებული უნდა იქნას თავისუფლების მოედანსა და პუშკინის ქუჩაზე გამავალი ისტორიული სანიაღვრე კოლექტორის არსებობა და შენარჩუნება.
- შენარჩუნებული უნდა იქნას პუშკინის ქუჩაზე არსებული ძველი თბილისის გალავნის ტურისტული მარშრუტი შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.
- შენარჩუნებული უნდა იქნას არსებული საავტომობილო გზის საყრდენი კედელი.
- შემუშავებული უნდა იქნას ახალი გარე საინჟინრო ინფრასტუქტურა და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2.3. კონცეფციის დამუშავებისათვის, **<u>კონკურსში მონაწილე პირებს,</u>** როგორც თანდართული მასალების სახით, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე – <u>www.tas.ge</u> და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ-გვერდზე <u>www.archunion.ge</u>, **<u>შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:</u>**

ა) ტერიტორიის აერო–ფოტო გადაღება მ 1:1000;
ბ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება;
გ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება კომუნიკაციების დატანით (საარქივო მასალიდან) მ 1:500;
დ) არსებული განაშენიანების განშლები;
ე) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
ვ) ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე არსებული შენობა – ნაგებობების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური სამეთვალყურეო სამუშაოების ანგარიში.

III. თავი
საკონკურსო წინადადება

3.1. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ფორმით ამ თავით დადგენილი წესების დაცვით.

3.2. <u>საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:</u>

ა) განმარტებითი ბარათი: მაქსიმუმ 4 გვერდად, Sylfaen 12 შრიფტით, 1.5 ინტერვალით;

ბ) გენ -გეგმა მ 1:500;

გ) ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემა მ 1-500 ან 1:1000;

დ) საპროექტო გეგმები მ 1:200;

ე) საპროექტო ჭრილები მ 1:200;

ვ) ქუჩის განშლები მ 1:200;

ზ) ბარათაშვილის ქუჩიდან თავისუფლების მოედნამდე მონაკვეთის ვიზუალიზაცია (მინიმუმ 3 ხედი);

თ) ფოტომონტაჟი (მინიმუმ 2 ხედი);

ი) შესრულებული კონცეფციის საპროექტო სამუშაოების ღირებულების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა.

3.3. საკონკურსო წინადადება, შემდგომში გამოფენისა და პრეზენტაციის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონულ ვერსიაში ჰორინზონტალურ ფორმატზე ზომით 120 სმ X 80 სმ, არაუმეტეს 6 ფორმატზე, ქართულ ენაზე PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით, არაუმეტეს 25 მგბ.) და დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (200 dpi). დაუშვებელია PDF და JPG პრეზენტაციაში ავტორის მითითება.

3.4. საკონკურსო წინადადება ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე - www.tas.ge

3.5. კონკურსში გამარჯვებული კონცეფციების ავტორები ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს გადასცემენ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს.

3.6. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული კონცეფციების ავტორები ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს ნებას რთავენ შეიტანოს ცვლილებები გამარჯვებულ ნაწარმოებში.

3.7. კონკურსში მონაწილე პირმა ამ თავით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უნდა დაურთოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

3.8. ამ თავის „3.7“ პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3.9. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ პასუხობს ამ თავით გათვალისწინებულ წესებს და არ არის წარმოდგენილი დათქმულ ვადაში არ განიხილება.

IV. თავი
კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის ვადები (კალენდარი)

	ღონისძიება	დედლაინი
1	საკონკურსო წინადადებების მიღება-რეგისტრაცია	კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში
2	საკონკურსო წინადადებების განხილვა	განცხადებების მიღების დასრულებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში
3	შედეგების გამოცხადება	განცხადებების განხილვის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში
4	ხელშეკრულების გაფორმება	შედეგების გამოქვეყნებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში

V. თავი
საკონკურსო კომისია

5.1. კონკურსში გამარჯვებულებსს გამოავლენს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

5.2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი.

5.3. კომისიას ჰყავს მდივანი აპარატის შემადგენლობიდან. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.

5.4. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5.5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

5.6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ–ერთი წევრი-თავმჯდომარის დავალებით.

5.7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი.

5.8. საკონკურსო კომისია გამარჯვებულების გამოვლენისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) პროფესიონალიზმი ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტებისას;

ბ) საკონკურსო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება;

გ) განხორციელების რეალურობა;

დ) არქიტექტურული იერსახე და თვითმყოფადობა ისტორიულ გარემოსთან მიმართებაში;

ე) საპროექტო სამუშაოთა ღირებულება.

VI. თავი
კონკურსის შედეგები

6.1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამოავლენოს 3 (სამი) საუკეთესო კონცეფცია და შესაბამისად მიანიჭოს მათ I, II და III ადგილები.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია გამარჯვებული კონცეფციების შესყიდვის მიზნით, უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას სამივე ადგილის მფლობელთან - კონცეფციის ავტორთან.

6.3. გამარჯვებული კონცეფციების შესყიდვის ფასი (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) შეადგენს:

I ადგილი – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;

II ადგილი – 2 000 (ორი ათასი) ლარი;

III ადგილი – 1 000 (ერთი ათასი) ლარი;

6.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

6.5. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6.6. კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ჩაშლილად ითვლება თუ:

ა) არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისი ორი საკონკურსო წინადადება მაინც;

ბ) საკონკურსო კომისია არ მოიწონებს არცერთ წარმოდგენილ კონცეფციას.

6.7. კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი ნამუშევრები უკან უბრუნდებათ.

VII. თავი
კონკურსის გასაჩივრება

7.1. კონკურსანტს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საკონკურსო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

7.2. კონკურსის თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკურსთან დაკავშირებული დავის განხილვა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანების შესაბამისად.

სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**